

ახალი საგადასახადო კოდექსი

10 ივნისი 2010 წ.

საშემოსავლო გადასახადი

მუხლები 85 – 88: მიკრო ბიზნესი

- ფიზიკურ პირები, რომლებიც არ იყენებენ დაქირავებულ შრომას და რომელთა წლიური ერთობლივი შემოსავალი ნაკლებია 30 000 ლარზე, თავისუფლდებიან საშემოსავლო გადასახადისაგან.
- არ არის ვალდებული გამოიყენოს საკონტროლო საღარო აპარატი, მაგრამ ვალდებულია შეინახოს პირველადი დოკუმენტები.
- საქართველოს მთავრობას უფლება აქვს განსაზღვროს საქმიანობები, რომელთა განხორციელება ეკრძალება მიკრო ბიზნესს, აგრეთვე შემოსავლის სახეები, რომლებიც არ დაიბეგრება სპეციალური დაბეგვრის რეჟიმით.

საშემოსავლო გადასახადი (გაგრძ.)

მუხლები 89 – 93: მცირე ბიზნესი

- მეწარმე ფიზ. პირის, რომლის წლიური ჯამური ბრუნვა (გარდა ხელფასისა) ნაკლებია 200 000 ლარზე, დასაბეგრი შემოვალი (გარდა ხელფასისა) იბეგრება 5%-იანი განაკვეთით.
- თუ (1) მცირე ბიზნესს აქვს შემოსავლების მიღებასთან დაკავშირებული შემოსავლების 60%-ის ოდენობის ხარჯების (გარდა დაქირავებულზე დარიცხული ხელფასის ხარჯისა) დამადასტურებელი დოკუმენტები, და (2) საქმიანობას ახორციელებს სპეციალური სავაჭრო ზონის ტერიტორიაზე მისი განაკვეთი მცირდება 3%-მდე.
- იგი ვალდებულია გამოიყენოს საკონტროლო საღარო აპარატი.
- საქართველოს მთავრობას უფლება აქვს განსაზღვროს საქმიანობები, რომელთა განხორციელება ეკრძალება მცირე ბიზნესს, აგრეთვე შემოსავლები, რომლებიც არ დაიბეგრება სპეცდაბეგრის რეჟიმით. ხელსაყრელია თუ NP > 33.33%.

საშემოსავლო გადასახადი (გაგრძ.)

მუხლები 82, 280: გადასახადის განაკვეთი

წელი	2011	2012	2013	2014
არის	18%	15%	15%	15%
იქნება	20%	20%	18%	15%

მუხლი 83: გადასახადისაგან გათავისუფლება

ფიზიკური პირის გარდა მეწარმე ფიზიკური პირის მიერ სამეწარმეო საქმიანობისათვის გამოყენებული ქონებისა მიერ 2 წელზე მეტი ვადით საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების მიწოდებით მიღებული 30 000 ლარამდე ნამეტი შემოსავალი.

ამავე დროს, ფიზიკური პირის მიერ (I რიგის მემკვიდრის) ჯამურად მის და მამკვიდრებლის საკუთრებაში 2 წელზე მეტი ვადით არსებული მატერიალური აქტივების რეალიზაციით მიღებული ნამეტი (კოლიზია წინა ნორმასთან).

მოგების გადასახადი

მუხლი 106: ხარჯები

ფინანსთა მინისტრს უფლება აქვს განსაზღვროს ცალკეული შემთხვევები, როცა ხარჯის დოკუმენტურად დადასტურება სავალდებულო არ არის

მუხლი 107: არაგამოქვითვადი ხარჯები

ერთობლივი შემოსავლიდან არ გამოიქვითება მიკრო ბიზნესის სტატიუსის მოქონე ფიზიკური პირიდან შეძენილ საქონელზე/მომსახურებაზე გაწეული ხარჯი.
(შელავათი დიდი ბიზნესის ხარჯზე?)

მუხლი 108: პროცენტის ხარჯი

შენარჩუნდა 24%-იანი ზღვარი. მუხლი სუსტი კაპიტალიზაციის წესის შესახებ გაუქმებულია.

მოგების გადასახადი (გაგრძ.)

მუხლები 111 – 114: ამორტიზაცია

ჯგუფის ძირითადი საშუალების უსასყიდლოდ მიწოდებისას მისი ღირებულება ჩაირთვება ერთობლივ შემოსავალში.

მუხლი 127: გარიგებების შეფასება

გადამხდელს უჩნდება ვალდებულება განსაზღვროს თავისი მოგება საბაზრო პრინციპთან შესაბამისად (გარიგებებს, რომლებზეც ვრცელდება ეს დებულება განსაზღვრავს საქართველოს მთავრობა)

მუხლი 128: გარიგებების შეფასების მეთოდები

აღნიშნული მეთოდების გამოყენების წესი და პროცედურები განისაზღვრება ფინანსთა მინისტრის ბრძანებით.

მოგების გადასახადი (გაგრძ.)

მუხლები 130, 280: დივიდენდების დაბეგვრა

წელი	2011	2012	2013	2014
არის	3%	0%	0%	0%
იქნება	5%	5%	3%	0%

მუხლები 131, 280: პროცენტების დაბეგვრა

წელი	2011	2012	2013	2014
არის	0%	0%	0%	0%
იქნება	5%	5%	5%	0%

მოგების გადასახადი (გაგრძ.)

მუხლები 132, 280: როიალტის დაბეგვრა

როიალტი იბეგრება გადახდის წყაროსთან 15%-იანი განაკვეთით, ხოლო უცხოური საწარმოსათვის ან ფიზიკური პირისათვის – 20%-2013 წ.-მდე და 18% - 2014 წ.-მდე.

მუხლი 133, 280 იჯარის დაბეგვრა

საიჯარო მომსახურების თანხა, გარდა ლიზინგის შემთხვევებისა, იბეგრება გადახდის წყაროსთან 15%-იანი განაკვეთით. ამასთან, უცხოური საწარმოსათვის ან ფიზიკური პირისათვის – 20%-2013 წ.-მდე და 18% - 2014 წ.-მდე.

მუხლი 145: მარაგები

გადასახადის გადამხდელს უჩნდება ვალდებულება სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ჩამოწერისას აცნობოს საგადასახადო ორგანოს ამის შესახებ და ჩემოწერა განახორციელოს მხოლოდ დასტურის მიღების შემთხვევაში

აქციზი

მუხლი 189: განაკვეთები

სპირტიან სასმელებზე
(გარდა ღვინისა)
გაიზარდა აქციზის
განაკვეთები

საბაჟო დაგასახადი

მუხლი 199: განაკვეთები

სპირტიან სასმელებზე (გარდა
ღვინისა) შემცირდა საბაჟო
გადასახადის განაკვეთები

ქონების გადასახადი

მუხლი 205: განაკვეთი

ინდექსაცია არ არის სავალდებულო საწარმოებისათვის, რომლებიც თავის ბალანსზე რიცხულ ქონებას აღრიცხავენ გადაფასების მეთოდის გამოყენებით და აქვთ საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული პირების მიერ აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგება.

თუმცა საგადასახდო ორგანო ისევ იტოვებს უფლებამოსილებას, რომ საგადასახდო შემოწმების დროს დასაბეგრი ქონების ღირებულება განსაზღვროს მისი საბაზრო ფასით.

დღგ

მუხლი 157: გადასახადის გადამხდელი

არამეწარმე ფიზიკური პირი, რომლის მიერ განხორციელებული დასაბეგრი ოპერაციის თანხა აღემატება 200 000 ლარს მხოლოდ ამ ერთი ოპერაციის ფარგლებში ხდება გადამხდელი.

მუხლი 158: სავალდებულო რეგისტრაცია

დღგ-ს გადამხდელად სავალდებულო რეგისტრაციის დღგ-ით დასაბეგრი საერთო თანხა 12 უწყვეტი კალენდარული თვის განმავლობაში გაიზარდა 100 000 ლარიდან 200 000 ლარამდე

მუხლი 162: დასაბეგრი ოპერაცია, დრო

დღგ-ით დასაბეგრი ოპერაციის განხორციელების დროდ ითვლება ავანსის მიღების მომენტი მისაწოდებელი საქონლის/მომსახურების ფარგლებში (გარდა ტელესაკომუნიკაციო მომსახურებისა)

დღგ (გაგრძ.)

მუხლი 162: დასაბეგრი ოპერაცია, დრო (გაგრძ.)

იჯარის ხელშეკრულების ვადის გასვლის, ან ვადაზე ადრე შეწყვეტისას ძირითადი საშუალების მეიჯარისათვის დაბრუნება.

საკუთარი წარმოების შენობა-ნაგებობის ძირითად საშუალებად ექსპლუატაციაში მიღების მომენტი.

მუხლი 167: მომსახურების გაწევის ადგილი

თუ მომსახურების გამწევი და მიმღები სხვადასხვა სახელმწიფოშია მაშინ მომსახურების გაწევის ადგილად ითვლება: მომსახურების მიმღები პირის (1) რეგისტრაციის ადგილი, ან (2) მართვის ადგილი, ან (3) მისი მუდმივი დაწესებულების ადგილმდებარეობა, ან (4) ეკონომიკური სარგებლის მიღების ადგილი

დღგ (გაგრძ.)

მუხლი 168: გათავისუფლება

ტერმინების “დღგ-სგან გათავისუფლებული” და “ნულოვანი განაკვეთით დასაბეგრის” ნაცვლად შემოტანოლ იქნა ცნებები დღგ-სგან გათავისუფლება ჩათვლის უფლების გარეშე და დღგ-სგან გათავისუფლება ჩათვლის უფლებით. თუ ოპერაცია განეკუთვნება პირველ ჯგუფს, გადამხდელს ენიჭება უფლება დაარიცხოს ოპერაციაზე დღგ და მიიღოს ჩათვლის უფლება.

მუხლი 169 გადასახადისაგან გათავისუფლება (ჩათვლის უფლების გარეშე)

ფიზიკური პირის მიერ ბინის/სახლის მიწოდება თუ ეს ბინა/სახლი მის მფლობელობაშია სულ ცოტა ბოლო 2 წლის განმავლობაში

დღგ (გაგრძ.)

მუხლი 173: საანგარიშო პერიოდი

დღგ-ს საანგარიშო პერიოდი შეიცვალა კვარტლით თვის ნაცვლად.

მუხლი 175: დღგ-ს ჩათვლა

- საკუთარი წარმოების შენობა-ნაგებობის ძირითად საშუალებად გამოყენებისას დარიცხული დღგ-ს თანხა ექვემდებარება ჩათვლას.
- III და IV ჯგუფის ძირითად საშუალებებზე ჩასათვლელი დღგ-ს თანხა ექვემდებარება გადაანგარიშებას ექსპლუატაციაში შესვლიდან 10 კალენდარული წლის განმავლობაში 1/10-ის ოდენობით. ამორტიზაციას დაქვემდებარებულ სხვა ძირითად საშუალებებზე - 5 კალენდარული წლის განმავლობაში 1/5-ის ოდენობით.
- დანაკარგზე ჩათვლა დადგენილი ნორმის ფარგლებში.
- 90 დღიანი ვადა პრაქტიკულად გაორმაგდა.
- უსაქონლო/ფიქტიურ გარიგებებზე ჩათვლა უუქმდება მხოლოდ პირველ მყიდველს.

ზოგადი ნაწილი

მუხლი 12: დაქირავებით მუშაობა

დაქირავებით მუშაობად ითვლება ფიზიკური პირის მიერ ვალდებულების შესრულება იმ ურთიერთობათა ფარგლებში, რომლებიც რეგულირდება საქართველოს ან/და უცხოური შესაბამისი კანონმდებლობით

მუხლი 19: ურთიერთდამოკიდებული პირები

ერთი პირი არის მეორე პირის

- ექსკლუზიური აგენტი
- დისტრიბუტორი ან კონცესიონერი
- საქონლისა და მომსახურების 50%-ზე მეტის მიმწოდებელი ან მყიდველი

ზოგადი ნაწილი (გაგრძ.)

მუხლი 26: სპეციალური სავაჭრო ზონა

- ასეთი სტატუსის მქონე იურიდიული პირი, რომელიც ეწევა ვაჭრობის ორგანიზებას.
- მის ტერიტორიაზე საქმიანობის განმახორციელებელ ფიზიკურ პირს უფლება აქვს ისარგებლოს მიკრო/მცირე ბიზნესის სტატუსით.
- სტატუსის მქონე იურიდიული პირი ასრულებს სავაჭრო ზონაზე საქმიანობის განმახორციელებელი პირების საგადასახადო ვალდებულებას (გარდა ქონების გადასახადისა).
- პირებს პასუხისმგებლობა საგადასახადო ორგანოების წინაშე ეკისრებათ სოლიდარულად

ზოგადი ნაწილი (გაგრძ.)

მუხლი 42: საგადასახადო ომბუდსმენი

- იცავს გადამდელთა უფლებებს
- მის უფლებამოსილებას განსაზღვრავს საქართველოს მთავრობა

მუხლი 46: საჯარო გადაწყვეტილება

- გამოსცემს ფინანსთა მინისტრი
- ეყრდნობა დავების განხილვის ორგანოს მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებას, თუ ეს უკანასკნელი მნიშვნელოვანია ერთიანი პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის

მუხლი 47: წინასწარი გადაწყვეტილება

- გასცემს შემოსავლების სამსახური გადამხდელის მოთხოვნის საფუძველზე
- ვრცელდება იმ გადამხდელზე ვისთვისაც იქნა გამოცემული
- ექვემდებარება გასაჩივრებას

ზოგადი ნაწილი (გაგრძ.)

მუხლი 62: გადასახადის დაბრუნება

ცალკეულ შემთხვევებში და ცალკეული გადასახადის გადამხდელების მიმართ, რომლებიც ახორციელებენ ელექტრონულად დეკლარირებას, შეიძლება მოხდეს ზედმეტად გადახდილი გადასახადის თანხების მათთვის ავტომატურად დაბრუნება

მუხლი 247: დეკლარაციის წარდგენის ვადის დარღვევა

ზღვარი, რომელიც დაწესებული იყო სანქიის ჯამურ თანხაზე შემცირდა 60%-დან 30%-მდე

მუხლი 248: დეკლარაციაში გადასახადის შემცირება

დეკლარაციაში ხარალის გაზრდა განიხილება გადასახადის შემცირებად და ჯარიმდება შესაბამისად

ზოგადი ნაწილი (გაგრძ.)

მუხლი 259: საქონლის დოკუმენტების გარეშე ტრანსპორტირება, რეალიზაცია და აღურიცხველობა

საქონლის დანაკლისის გამოვლენისას დარიცხული ჯარიმა იზრდება მისი საბაზრო ფასის 10%-ით.

მუხლი 269: საგადასახადო დავის პრინციპები

თუ ბიუჯეტი არ ზარალდება დავების განხილვის საბჭოს უფლებამოსილია გაათავისუფლოს მომჩივანი დაკისრებული სანქციისაგან შემდეგ შემთხვევებში:

- სანქცია გამოწვეულია შეცდომით/არ ცოდნით
- საგადასახადო მუხლი, რომელსაც ეყრდნობა მომჩივანი, ორაზროვანია

მუხლი: 275: დავის განმხილველი ორგანოს გადაწყვეტილება

დავების განხილვის ორგანოს ენიჭება უფლებამოსილება დააყენოს გასადასახადოს თანამშრომლის პასუხისმგებლობის საკითხი, თუ გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი გახდა ამ თანამშრომლის არაკომპეტენტური ქმედება.

დარჩენილი პრობლემები

- სამრეწველო საწარმოთა დაბეგვრა
- ფილიალების დაბეგვრა
- ურთიერთდამოკიდებულ პირებს შორის ოპერაციების დაბეგვრა
- რეორგანიზაციის მუხლები
- საბაზრო პრინციპის გამოყენება
- კამერალური შემოწმება

საკონტაქტო ინფორმაცია

ზურაბ ნიკვაშვილი

საერთაშორისო სავაჭრო პალატის
საგადასახადო კომისია

ელ-ფოსტა: icc@icc.ge,
zurab.nikvashvili@ge.ey.com

ტელეფონი: (822) 399 088